



შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

შეფასების ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს „ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემის ნორმატიულ საფუძველს.

2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცედურებს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. საბოლოო შეფასების შედეგები განიხილება ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს სხდომაზე, რომლის გადაწყვეტილებითაც პროგრამის განხორციელების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდება მოქმედებათა კონკრეტული გეგმა.

მუხლი 2. პროგრამის აქტუალურობა

1. პროგრამის აქტუალურობა განისაზღვრება და ფასდება იმისდამიხედვით, თუ რა არის პროგრამის მიზანი და ვისთვის არის განსაზღვრული.

2. პროგრამის აქტუალურობა შეიძლება დასაბუთდეს რამოდენიმე ფაქტორით:

ა) პროგრამის შემუშავებისას დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხარისხი;

ბ) რამდენად ითავალისწინებს პროგრამა დამსაქმებელთა, პროფესიულ სტუდენტთა და მათი მშობლების მოთხოვნებს.

გ) არსებული დასკვნები და შეფასებებები პროგრამასთან დაკავშირებით;

დ) პროგრამა ორიენტირებულია პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განმტკიცებაზე;

ე) დაწესებულების კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის შეფასებისას დაფიქსირებული შედეგები (მსმენელთა გამოკითხვა);

ვ) პროფესიულ სტუდენტად ჩარიცხვის კანდიდატების განცხადების ხვედრითი წილი განცხადების საერთო რაოდენობაში.

მუხლი 3. გამოყენებული მასალა, ლიტერატურა

1. პროგრამაში გამოყენებული მასალა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზანს და ამოცანებს;
2. პროგრამაში ასახული მასალა უნდა იყოს ახალი და ასახავდეს მოცემულ დარგში დამკვიდრებულ პროფესიულ სტანდარტებს;
4. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის ძირითად მასალას, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაწესებულების ბიბლიოთეკაში ნაბეჭდი ან ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის სახით.

მუხლი 4. სწავლების მეთოდები

1. იძლევა თუ არა პროგრამაში მოცემული სწავლების მეთოდები დასახული ამოცანების გადაჭრის საშუალებას. (კომპიუტერული პროგრამები, იმიტირებული სამუშაო გარემო, საძიებო და საცნობარო სისტემები და სხვა.)
2. გამოყენებული უნდა იყოს სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს მსმენელის აქტიურ მონაწილეობას: დისკუსიას, კონკრეტული შემთხვევების ანალიტიკურ გარჩევებს, სიტუაციურ ამოცანებს, წინასწარ მიცემული დავალების საფუძველზე მომზადებულ სტუდენტთა მოხსენებებს, სიტუაციის იმიტაციას და სხვა;
3. უნდა შეფასდეს პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო ტექნიკური საშუალებების და დამხმარე თვალსაჩინოებების არსებობის საკითხი, რაც სწავლების მეთოდების ადეკვატური უნდა იყოს.

მუხლი 5. ცოდნის შეფასების სისტემა

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს, რამდენად ადეკვატურია სტუდენტთა შეფასების მეთოდები. ამასთან უნდა განისაზღვროს, მოიცავს თუ არა კითხვარი ან საგამოცდო საკითხები პროგრამით გათვალისწინებული მასალის ძირითად ნაწილს და იძლევა თუ არა შეფასების მეთოდი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შემოწმების საშუალებას;
2. გამოყენებულია თუ არა პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების ადეკვატური მეთოდი, რადგანაც პროფესიული პროგრამის ამოცანებს განეკუთვნება სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. მონაწილეობს თუ არა წარმომადგენელი პრაქტიკის ობიექტიდან პრაქტიკის შედეგების შეფასებაში.

3. შეესაბამება თუ არა სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა დადგენილ წესს. ხომ არ ატარებს სტუდენტთა შეფასება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს, არის თუ არა შეფასების სისტემა მრავალკომპონენტური.

4. მოწმდება, თუ რამდენად ხდება შეფასების შედეგების განხილვა და დაშვებული შეცდომების ანალიზი სტუდენტებთან, რათა მათ განემარტოთ კონკრეტული შეფასების მიღების მიზეზები;

5. რამდენად არის სტუდენტისათვის წინასწარ ცნობილი, მისი ცოდნის შეფასების მოსალოდნელი მეთოდების შესახებ და იცნობს შეფასების მოქმედ სისტემას. რამდენადაა მისთვის ცნობილი არადადამაკმაყოფილებელი შეფასების შედეგები.

მუხლი 6. პროგრამის ხანგრძლივობა, განხორციელების პირობები.

1. ფასდება, თუ რამდენად ადეკვატურია პროგრამის ხანგრძლივობა. ხომ არ არის პროგრამის ხანგრძლივობა გაზრდილი ან შემოკლებული. ხანგრძლივობის ადეკვატურობა პირველად უნდა შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობების (ლექცია-სემინარები, პრაქტიკული მუშაობა, ტესტირება და სხვა) წარმოდგენილი განრიგის მიხედვით. მეორე ეტაპზე უნდა განისაზღვროს შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი საქმიანობა პროგრამით გათვალისწინებული მასალის მოცულობას.

2. თუ პროგრამა ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას, რამდენად არსებობს დადებული ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტთან, განსაზღვრულია თუ არა მექანიზმები პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტთა შრომის და სწავლის უსაფრთხო გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 7. სტუდენტთა ჩარიცხვის წესი

1. რამდენად ადეკვატურია პროფესიულ სტუდენტთა მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და წინაპირობები პროგრამის წარმატებული განხორციელებისათვის;

2. რამდენად ნათელი და გამჭვირვალეა ჩარიცხვის წინაპირობები. რამდენად ხელმისაწვდომია ეს ინფორმაცია დაინტერესებული პირებისათვის;

3. ხომ არ არის ჩარიცხვის წინაპირობები ზედმეტად გამარტივებული (არაადეკვატური) ან ზედმეტად გართულებული (შემზღვედავი).

მუხლი 8. პროგრამის დაფინანსება

1. რამდენად რენტაბელურია ამ პროგრამის განხორციელება, ანუ ერთმანეთს უნდა შედარდეს პროგრამის განხორციელებისას წარმოშობილი დანახარჯები და შემოსავლები. თუკი პროგრამა არარენტაბელურია, უნდა არსებობდეს ამ პროგრამის განხორციელების მოტივაცია და სათანადო დასაბუთება.

მუხლი 9. ადამიანური რესურსების შეფასება

1. უნდა განისაზღვროს, დაკავებულია თუ არა პროგრამის განხორციელებაში სათანადო მომზადების და კვალიფიკაციის პერსონალი, საკმარისია თუ არა მათი რაოდენობა. ამასთან, უნდა შეფასდეს, როგორც პროფესიული მასწავლებლების, ისე ტექნიკური პერსონალის მონაცემები;
2. პროფესიული მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ სათანადო გამოცდილება იმ კონკრეტულ სფეროში, რომელსაც ეხება საგანმანათლებლო პროგრამა (გარდა ზოგადი დისციპლინებისა);
3. პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტში დაკავებული პროფესიული მასწავლებლები მაღალ პროფესიულ დონეზე უნდა ფლობდნენ აღნიშნულ ჩვევებს;

მუხლი 10. კურსდამთავრებულთა დასაქმება

1. კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი კომპონენტია პროგრამის შესაფასებლად, რასაც აწარმოებს კარიერისა და დასაქმების სამსახური;
2. მოწმდება, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რამდენმა დაამთავრა პროგრამა. რა იყო მათი განთესვის/მოხილობის მიზეზები;
3. რამდენი კურსდამთავრებული დასაქმდა პროგრამის სპეციფიკით, მისი დასრულებიდან ერთი წლის ვადაში;
4. რამდენმა პროფესიულმა სტუდენტმა გაარგძელა სწავლა შემდეგ საფეხურზე (მ.შ. აკადემიურ პროგრამებზე);

მუხლი 11. შეფასებისას გამოყენებული წყაროები

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოყენებული ინფორმაცია მოპოვებული უნდა იყოს კანონიერი გზით, უნდა იყოს სანდო და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს მისი პირველი წყაროს გადამოწმება.
2. შეფასებისას შესაძლოა გამოყენებული იყოს რესპოდენტთა ზეპირი ან ანკეტური გამოკითხვები (სასწავლო კურსის შეფასება სტუდენტის მიერ, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება დამსაქმებლის მიერ, სასწავლო პროცესის შეფასება პროფესიული მასწავლებლის მიერ).
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნაში მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ინფორმაციის მოპოვების წყაროები ან/და კონკრეტული დასკვნის გამოტანის საფუძვლები.